პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 104 (1586) ხუთშაბათი, 1 სექტემბერი, 1960 წ. გამოცემის მე-17 წელი ფასი 80 კაპ.

XVII რომი XVII

პირველი ოქრო ველორბოლაში

„რუსებისაგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს!“ — განაცხადა ველოსიპედისტთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ იტალიის გუნდის მწვრთნელმა. — ჩვენ შევეჩვიეთ საბჭოთა მძლეოსნობის და კალათბურთელების, ძალოსნების და ტანმოვარჯიშეების წარმატებებს. მაგრამ ისინი თუ ასევე ძლიერნი იქნებოდნენ ველორბოლაში აღარ გვეგონა. „არა! ეს არ არის სენსაცია. ეს წარმატება კანონზომიერი მოვლენაა თუ მას ფხიზელი თვალით შევხედავთ“. — ასე სწერდა ერთ-ერთი იტალიური გაზეთი საგზატკეცილო ველორბოლის დამთავრების შემდეგ.

175-კილომეტრიანი დისტანციის სტარტიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს ჰოლანდიელმა და იტალიელმა სპორტსმენებმა. დაწინაურებულთა შორის იყო საბჭოთა ველოსიპედისტი ვ. კაპიტონოვი, მაგრამ სერიოზულ ყურადღებას მას არავინ აქცევდა. დაახლოებით შუა დისტანციაზე კაპიტონოვმა გაქცევა სცადა, მაგრამ მას უმალ დაეწია იტალიელი. შემდგომი ცდაც ამაო გამოვიდა. იტალიელი ველოსიპედისტი მას აჩრდილივით მისდევდა.

ფინიშთან ახლო გაქცევა უკვე იტალიელმა სცადა. მან ორიოდე ათეული მეტრით ჩამოიტოვა უკან კაპიტონოვი. მაგრამ ამ უკანასკნელმა მოკრიბა მთელი ძალები და სპრინტერული ბიძგით დაეწია ლიდერს. იტალიელმა „ტაქტიკურ“ ფანდს მიმართა. მიიმწყვდია კაპიტონოვი გზის ნაპირზე იმ ანგარიშით, რომ „გადაეგდო“ იგი მაყურებელთა მხარეს. საბჭოთა ველოსიპედისტი ერთხანს დაყვა იტალიელის სურვილს, მაგრამ სულ მალე იხელთა ხელსაყრელი მომენტი და ზედ ფინიშთან გაუსწრო ლიდერს. კაპიტონოვმა მოიპოვა ოქროს მედალი. უნდა ითქვას, რომ იგი პირველი ოლიმპიური ჩემპიონია ჩვენი ველოსპორტის ისტორიაში.

✦

ვ. ქდანოვიჩი ოლიმპიური ჩემპიონია

აი კიდევ ერთი სენსაცია, რომლის ავტორი ამჟამად საბჭოთა სპორტსმენი ვ. ჟდანოვიჩი გახდა. მოფარიკავეთა ტურნირის დაწყების წინ ფავორიტებათ თვლიდნენ უნგრელ, იტალიელ და ფრანგ რაპირისტებს. საბჭოთა სამეულს — ვ. ჟდანოვიჩს, ი. სისიკინს და მ. მიდლერს სპეციალისტები კარგს არაფერს უწინასწარმეტყველებდნენ. უკეთეს შემთხვევაში, მათი აზრით, ჩვენს მოფარიკავეებს ათეულში მოხვედრისათვის უნდა ებრძოლათ.

მაგრამ უკვე მერამდენჯერ არ გამართლდა პროგნოზები. საბჭოთა რაპირისტებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ტურნირი და სამივემ გაინაღდა ადგილები პირველ ხუთეულში. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ვ. ჟდანოვიჩი, ი. სისიკინმა მოიპოვა ვერცხლის მედალი, ხოლო მ. მიდლერი მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

მწვრთნელი კაპიტულაციის თანახმაა

ბრაზილიის ნაკრებთან წაგების შემდეგ ჩვენს გუნდს ერთადერთი ვარიანტი დარჩა — გაემარჯვათ პუერტო-რიკოს კალათბურთელებთან შეხვედრაში და გაეკაფათ გზა ნახევარფინალისაკენ. როგორც ცნობილია, პუერტო-რიკოს გუნდმა „სისხლი გაუშრო“ მსოფლიოს ოფიციალურ ჩემპიონს — ბრაზილიას, რომელმაც უკანასკნელ წუთზე გამოგლიჯა გამარჯვება ექსპანსიურ მოწინააღმდეგეს.

ჩვენმა გუნდმა ეს შეხვედრა კარგად ჩაატარა და უკვე პირველსავე ტაიმში გასტეხა მოწინააღმდეგის შეუპოვრობა. პუერტო-რიკოს კალათბურთელები ძალზე ტექნიკურები არიან, ისინი ჩინებულად ესვრიან კალათში და საკმაოდ ტემპიანადაც თამაშობენ. მაგრამ მათ არა აქვთ საკმარისი სიმაღლე, რაც ხელს უშლის ფარქვეშ ეფექტურ ბრძოლას.

თამაშის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, როდესაც კალათბურთის პრაქტიკაში უჩვეულო შემთხვევა მოხდა. პუერტო-რიკოს კალათისაკენ გაგზავნილი მაღალი ბურთის შესახვედრად აჭტნენ პეტროვი და უგრეხელიძე და როგორც ეს ხშირად ხდება, მაღალ ნახტომში ხელი დაჰკრეს ჩასაგდებად განწირულ ბურთს. როგორც ჩანს, დარტყმის ძალა დიდი იყო და მან დააზიანა კალათი და ელექტროგაყვანილობა. ანგარიშზე 96:63 თამაში დროებით შეწყდა.

პუერტო-რიკოს მწვრთნელმა მიიღო სწორი გადაწყვეტილება. თამაში მაინც წაგებულია, სჯობს სპორტსმენები დავასვენო შემდეგ შეხვედრისათვისო, იფიქრა და უარი თქვა მატჩის გაგრძელებაზე, მაგრამ კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვ. ჯონსმა აიძულა პუერტო-რიკოს გუნდი დაემთავრებინა მატჩი. შეხვედრა მოიგეს ჩვენმა კალათბურთელებმა — 100:63.

✦

მზად იბრძვიან ფინალისაკენ

დასასრულს უახლოვდება მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირი. საბჭოთა მოჭიდავეები წარმატებით იბრძვიან ყველა წონით კატეგორიაში. რვავე საბჭოთა მოჭიდავე ინარჩუნებს ოლიმპიური ოქროს მედლისათვის ბრძოლის უფლებას. მძიმე წონის საბჭოთა მოჭიდავემ ი. ბოგდანმა დაამარცხა რა ყველა მოწინააღმდეგე ფინალში, მოიპოვა ოქროს მედალი.

ძლიერად ატარებს შეხვედრებს ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი გ. კარტოზია. მორიგი შეხვედრა მან მოუგო გერმანელ ალბრეჰტს. კარგი მდგომარეობა აქვთ აგრეთვე გ. გამარნიკს და ო. კარავაევს. პირველმა წმინდად დაამარცხა ბულგარელი კირილი, ხოლო მეორემ — ლიბანელი ნაკოუზი.

ა. ქორიძეს საპასუხისმგებლო ბრძოლა ჰქონდა ბერძენ ანასტასთან. ფინალში გასვლისათვის მას წმინდა მოგება სჭირდებოდა მხოლოდ. საბჭოთა მოჭიდავემ ენერგიულად ჩაატარა შეხვედრა და მეხუთე წუთზე მოიპოვა გამარჯვება. პრინციპული ბრძოლა მოიგო წმინდად ნ. ჩუჩალოვმაც.

არასახარბიელო მდგომარეობაშია კ. ვირუპაევი, რომელმაც წააგო შეხვედრა მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონთან უნგრელ პოლიაკთან. ხუთი საჯარიმო ქულა აქვს ი. კოჩერგინს, რომელმაც უკანასკნელ წრეში დაამარცხა ოსმანი (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა).

✦

კვლავ ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები

100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვის ნახევარფინალში ამერიკელმა კ. შულერმა დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი — 1.09,8. თავი ისახელა აგრეთვე ამერიკელმა მოცურავემ სომერსმა, რომელმაც თავისუფალი სტილით 400 მ. ცურვაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 4.19,2. იაპონიის გუნდმა ესტაფეტაში 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 8.17,1. 100 მეტრზე ცურვა თავისუფალი სტილით ქალთა შორის მოიგო ავსტრალიელმა დ. ფრეზერმა. მისი შედეგი 1.01,2. ახალი ოლიმპიური რეკორდია.

100 მ. ზურგზე ცურვაში ამერიკელმა რ. ბენეტმა ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 1.02,0. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მალიკენმა — 2.37,4.

✦

წყალბურთი, ხუთჭიდი

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა გუნდი უკვე გავიდა ნახევარფინალში, აქ მან ჩაატარა პირველი შეხვედრა რუმინეთთან და გაიმარჯვა ანგარიშით — 3:2.

გუშინ დამთავრდა შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. პირველი გუნდური ადგილი დაიკავა უნგრეთმა, მეორე — საბჭოთა კავშირმა, მესამე — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა.

* * *

„უკანასკნელ საათს!“ იხ. მე-4 გვ.



ოლიმპიადის წინ შედგა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი სხდომა, რომელზეც დიდხანს გაგრძელდა დავა სიმაღლეზე ხტომაში ჯ. თომასის შედეგის (2 მ 22,8 სმ) მსოფლიო რეკორდად დამტკიცების საკითხზე. დავა გამოწვეული იყო იმით, რომ სარეკორდო სიმაღლის დაძლევის დროს თამასის მდგომარეობა თითქოს არ შეესაბამებოდა საერთაშორისო წესებს. ჯ. თომასის შედეგი მსოფლიო რეკორდად დამტკიცდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკის წარმომადგენელმა დ. ფერისმა სხდომას წარუდგინა თომასის მიერ სიმაღლის აღების ამსახველი ფოტოდოკუმენტი.

ამჟამად რეკორდის ავტორი რომის ოლიმპიადაზეა. ამხანაგურ და მეგობრულ ატმოსფეროში სწრაფად ხდება გაცნობა და დამეგობრება. სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა სპორტსმენებს ე. ოზოლინას (მარცხნივ) და ტ. ჩენჩიკს, რომელთაც „დაუტყვევებიათ“ გამოჩენილი სიმაღლეზე მხტომელი ჯ. თომასი.

XVII რომი XVII

ბრენდეჯი კვლავ დარჩა პრეზიდენტად

რომში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგმა სესიამ, სადაც ჟურნალისტებისათვის შესვლა აკრძალული იყო. მხოლოდ სესიის საქმიანობის დამთავრების შემდეგ გახადა ცნობილი ზოგიერთი გადაწყვეტილება. ოლიმპიურმა კომიტეტმა განიზრახა ტოკიოს 1964 წლის თამაშების პროგრამის გაზრდა. კერძოდ, მასში შეტანილ იქნა ძიუ-დო. შეიძლება პროგრამას დაერთოს ფრენბურთი და მშვილდოსნობაც, იმ შემთხვევაში, თუ ეს სახეობები ინერგება არანაკლებ 25 ქვეყანაში.

ოლიმპიური კომიტეტის რეაქციული უმეტესობა წინ აღუდგა საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის წინადადებას თამაშების პროგრამაში ქალთა კალათბურთის, ფრენბურთისა და სროლის შეტანის შესახებ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ კვლავ გამოთქვა სურვილი შემცირდეს პროგრამა 18 სახეობამდე. (ვარაუდობენ თითო სახედ იქნას მიჩნეული კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ცურვა და წყალში ხტომა, საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე).

სესიაზე დიდხანს გაგრძელდა ტაივანის საკითხის გარჩევა. ჩანკაიშელთა დასავლეთელი დამცველები ყოველმხრივ ცდილობდნენ მოეხერხებინათ მათთვის რომის თამაშებზე დაშვების უფლება და მიაღწიეს იმას, რომ სესიას (16 წევრის წინააღმდეგობის მიუხედავად) ჩანკაიშისტური თვითმარქვია ეცნო „ჩინეთის ოლიმპიურ კომიტეტად“ (!?) მაშინ, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში მიღებაზე უარი უთხრეს სომალის, კამბოჯისა და სხვათა ოლიმპიურ კომიტეტებს.

სესიამ განიხილა საბჭოთა დელეგაციის წინადადება „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ და საერთაშორისო ოლიმპიურ აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა საბჭოთა პროექტი განიხილოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა, შემდეგ საერთაშორისო ფედერაციათა წარმომადგენლების თათბირზე და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით 1961 წლის მორიგ სესიაზე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

სესიამ მოიწონა საბჭოთა წინადადება ევროპის რეგიონალური თამაშების ჩატარების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ოლიმპიური იდეებისა და მსოფლიო სპორტის განვითარებას. შემდეგ მოსმენილ იქნა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა ინფორმაცია მზადების შესახებ. სესიამ უარყო იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის მიერ ტოკიოს თამაშების ჩატარების კალენდარი.

დასასრულ სესიამ აირჩია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. პრეზიდენტი ბრენდეჯი და მისი მოადგილეები მასარი (საფრანგეთი) და ექსტერი (ინგლისი) ხელახლა იქნენ არჩეული კომიტეტის შემადგენლობაში. ახალ წევრებად აირჩიეს იაპონიის, ბრაზილიის, არგენტინის, იუგოსლავიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

რინგი თუ ესტრადა?

მომეტებული ხალისი ეტყობა იტალიის დედაქალაქს ამ დღეებში. მხიარულად დასეირნობენ დილიდან გვიან ღამემდე ახალგაზრდები რომის ქუჩებში, ხარბად იჭერენ ამა თუ იმ ახალ ცნობას, გულდასმით უზიარებენ ერთმანეთს განვლილი დღის შთაბეჭდილებებს და, როგორც წესი, კამათობენ თავდავიწყებამდე. საოცარია მათი ენერგია, ტემპერამენტი. მთელი დღე, დაუღალავად დგანან ისინი სპორტული დარბაზებისა და სტადიონების შესასვლელთან ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში და უმეტესად კმაყოფილდებიან მახლობელი რეპროდუქტორების ხმებით.

სპორტის დიდი სახლის შესასვლელთან იმდენი ხალხი იყო თავმოყრილი, რომ მხოლოდ პრესის ნიშანმა მოგვცა საშუალება გავვერღვია რკალი და რაღაც სასწაულით მოვხვედრილიყავით შენობის შიგნით. მართალი გითხრათ, ვესტიბულში შესულებს პირველად ეჭვი შეგვეპარა — სადმე საკონცერტო დარბაზში ხომ არ მოვხვდით? რადიოში, რაღაც სიმღერის უცნაური ხმები ისმოდა. მივედით ახლოს და ჩვენი ეჭვები გაქარწყლდა. დარბაზის შუაგულში ჩვეულებრივი რინგი იდგა და შიგ კიდევ უფრო ჩვეულებრივი მოკრივეები იბრძოდნენ. უჩვეულო იყო მხოლოდ ერთი მათგანის საქციელი, პატარა ტანის შავგვრემანი ესპანელი მთელი პირველი რაუნდის მანძილზე უტევდა მეტოქეს და ხმამაღლა მღეროდა.

მეორე რაუნდში ესპანელს გაუჭირდა, რადგან მოწინაამდეგის ძლიერმა დარტყმებმა მას სუნთქვა დაურღვია და სიმღერამაც დაკარგა პირვანდელი ეფექტი. მესამე რაუნდში ვოკალისტს უკვე არაფრის თავი არ ჰქონდა. იგი გონგამდე დანებდა მეტოქეს.

შემდეგ, რინგზე გამოვიდნენ პოლონელი პეტშიკოვსკი და ბრიტანეთის გვიანის წარმომადგენელი კრაუფორდი. სანამ მწვრთნელი პოლონელს აცმევდა ხელთათმანებს, კრაუფორდმა შეასრულა ექსცენტრიული აფრიკული ცეკვა, რომელიც დარბაზმა დიდი ტაშით და ოვაციებით დააჯილდოვა. შემდეგ მან მიიღო საბრძოლო დგომი და დაიწყო კრივი, რომელიც გაცილებით სუსტად ჩაატარა, ვიდრე ცეკვა. პეტშიკოვსკიმ ბრძოლა იოლად მოიგო და ამით კრაუფორდს ალბათ გაუგრილა ხელოვნების სიყვარული.

მოდი და ამის შემდეგ შეიტანე ეჭვი სპორტისა და ხელოვნების კავშირში.

ზ. ჯაფარიძე.
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი რომის ოლიმპიადაზე.

სურათებზე: ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი მარცხნივ — 175 კმ-ზე ველორბოლაში გამარჯვებული ვ. კაპიტონოვი და ვერცხლის მედალოსანი ა. სილაევი, რომელიც ერთადგილიანი კანოეთი რბოლაში ფინიშთან მეორე იყო.

ზღაპარი?!

ყველაზე „მძიმე გუნდებისათვის“ (ასე უწოდებენ ძალოსნებს რომში) ოლიმპიური თამაშები 7 სექტემბერს იწყება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი უქმად ატარებენ დროს იტალიის დედაქალაქში. შეჯიბრების დაწყებამდე მართალია დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ ძალოსნები უკვე კარგა ხანია შეუდგნენ დაუსწრებელ დუელს ერთმანეთთან. საერთო ყურადღების ცენტრშია შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა ვარჯიში, რომელსაც დიდძალი მაყურებელი ესწრება, და რომლის რეპორტაჟს პრესა, რადიო და ტელევიზია სისტემატურად აწარმოებს.

რომში ძალზე პოპულარულია იური ვლასოვის სახელი, რომელმაც იტალიელების აზრით გადააჭარბა „ამერიკულ დომკრატს“ — პაულ ანდერსონს. ხალხს უყვარს ზებუნებრივი ძალის ადამიანები და მათი ამბების მოსმენა, თუნდაც იგი მოგონილი ან ფანტასტიკური იყოს. ერთ-ერთი იტალიური გაზეთის ცნობით, იური ვლასოვმა ოლიმპიურ სოფელში ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანა თავისი საცხოვრებელი კოტეჯი. კორესპონდენტის ცნობით ვლასოვს, როგორც სიმყუდროვის მოყვარულს, „იღლიაში ამოუდევს“ კოტეჯი და ოლიმპიური სოფლის ბოლოში დაუდგამს.

— რამ მოგაფიქრათ ასეთი ზღაპარი? — ჰკითხა ერთმა ჩვენმა ძალოსანმა ჟურნალისტს, რომელიც საკვეხნად მოვიდა ოლიმპიურ სოფელში ამ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ.

— რატომ ზღაპარი? — გაიკვირვა ჟურნალისტმა.—მე თვითონ ვნახე ვარჯიშზე, თუ როგორ ასწია ვლასოვმა 580 კილოგრამი. როგორ გგონიათ, კოტეჯი მეტს იწონის?

როგორც ჩანს, ჟურნალისტი სრულებითაც არ ყოფილა ვარჯიშზე. მან უბრალოდ გაიგო, რომ ვლასოვმა ერთ-ერთ ვარჯიშზე სამჭიდის ჯამში 580 კილოგრამი დააგროვა, ვერ გაერკვა ძალოსნობის სპეციფიკაში და საბჭოთა ძალოსანი ნახევარტონიანი ტვირთით ხელში წარმოიდგინა. ასე იყო თუ ისე, ამ ცნობამ ვლასოვის სახელი კიდევ უფრო პოპულარული გახადა. მაგრამ ანკესს უმეტესად სპორტში ნაკლებად გათვითცნობიერებული ხალხი წამოეგო.

უფრო კვალიფიცირებულ მაყურებელს აკვირვებს ვლასოვის შედეგი სამჭიდში, რადგან 580 კილოგრამი (180+150+200) მართლაც წარმოუდგენელი მაჩვენებელია. სხვათა შორის, ამ ვარჯიშს ამერიკელი ძალოსნების „პაპა“ — ბობ ჰოფმანიც ესწრებოდა. ვლასოვის შედეგმა იგი ორგვარ გუნებაზე დააყენა. როგორც ყოველი სპორტსმენი, იგი აღაფრთოვანა ამ ფენომენალურმა შედეგმა. როგორც გუნდის მწვრთნელი — იგი ოდნავ ნაღვლიან გუნებაზე დააყენა. კარგი რომ სახლში მოსვლისას მისი ხევდა ჩარლზ ვინჩიმ გააქარწყლა. ამ უდაოდ ნიჭიერმა ძალოსანმა, ნამდვილად ფენომენალური შედეგი აჩვენა ვარჯიშზე. 353 კილოგრამი! მჩატე წონის ვერც ერთი ძალოსანი ვერ ინატრებს უკეთესს.

ერთი სიტყვით, სიმძიმეთა აწევის ოსტატთა შეჯიბრება დაიწყო, მაგრამ იგი ჯერჯერობით დაუსწრებელ ხასიათს ატარებს. და რადგან საწვრთნელმა ვარჯიშებმა უკვე ასეთი დიდი რეზონანსი გამოიღო, ეჭვსგარეშეა, რომ ოლიმპიური ტურნირი კიდევ უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევს. რომში მოუთმენლად ელიან 7 სექტემბერს— ძალოსანთა ტურნირის დაწყების დღეს.

სურათზე: ყველაზე ღონიერი ადამიანი მსოფლიოში, საბჭოთა გოლიათი ი. ვლასოვი ვარჯიშის დროს.

გაუგზავნელი წერილი

კნუტ ჯენსენი დიდი იმედებით ჩამოვიდა რომში. სულ ცოტა ხნის წინ მან დამაჯერებლად მოიგო საგზატკეცილო ველორბოლა სკანდინავიის დიდ თასზე. 23 წლის კნუტმა აალაპარაკა მთელი კოპენჰაგენი. ჯენსენი მომავალი ვარსკვლავია! ჯენსენი უეჭველად გახდება მსოფლიო ჩემპიონი, მიეცით მას მხოლოდ ცოტა დრო! ოლიმპიურ თამაშებზე მას გამოცდილება უნდა მიეღო მხოლოდ, რომში მას უნდა ენახა სახელგანთქმული იტალიელების და ფრანგების ტექნიკა, მეტს მისგან არაფერს მოითხოვდნენ.

ბედნიერი ღიმილით დაშორდა კნუტი თავის ახლობლებს კოპენჰაგენის ვაგზალზე. რომში ჩამოსვლისთანავე მან თავის გუნდის წევრებთან ერთად გულდასმით შეისწავლა ტრასა, ჩაატარა რამდენიმე ვარჯიში. შეჯიბრების წინა დღე კი დასვენებას მოანდომა მთლიანად.

ოლიმპიური თამაშების პირველმა დღეებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯენსენზე. ასეთი დიდებული სანახაობა, ამდენი გამოჩენილი სპორტსმენი ერთად მას არასდროს ენახა. კნუტი ყველაფერს აკვირდებოდა, ინიშნავდა ბლოკნოტში განსაკუთრებით საინტერესო მომენტებს, რომ შემდეგ წერილით ეცნობებინა ყველაფერი თავისი მშობლებისათვის.

დადგა შეჯიბრების დღე — აგვისტოს აუტანელი სიცხით და უზომოდ დახუთული ჰაერით. ველოსიპედისტებმა დისტანციაზე თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს და კნუტიც ხალისით აჰყვა მათ. ნახევარ გზაზე მეტი ჰქონდა გავლილი კნუტ ჯენსენს, როდესაც სიცხემ წაართვა მას გრძნობა და ველოსიპედის მართვის უნარი. სპორტსმენი გაოგნებული დაეცა გზატკეცილზე. სასწრაფო დახმარების მანქანამ იგი უგონოდ მიიყვანა საავადმყოფოში.

მეორე დღეს კი გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ მზის დაკვრის შედეგად გარდაიცვალა დანიის ველოსიპედისტთა გუნდის წევრი, 23 წლის კნუტ ჯენსენი.

წერილი გაუგზავნელი დარჩა...

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო იზრდება საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი, რაც ხელს უწყობს სპორტსმენთა მაჩვენებლების ზრდას. საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა ახლახან მიიღო კიდევ ერთი გადაწყვეტილება — 1961 წლის პროფკავშირების VII საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარების შესახებ გაზრდილი პროგრამით. მომავალი წლის პროფკავშირების VII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამაში ნაკრები კოლექტივებისათვის შეტანილია 18 სახეობა (კალათბურთი, ფრენბურთი, კრივი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, საგზატკეცილო ველორბოლა, წყალბურთი, სპორტული ტანვარჯიში, საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე, მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, ხელბურთი (7X7), თანამედროვე ხუთჭიდი, სასტენდო სროლა, ჩოგბურთი, ძალოსნობა და ფარიკაობა), თვითეული სპორტული დელეგაციის შემადგენლობა მიაღწევს 280 სპორტსმენს.

საგრძნობლად გაიზარდა ფიზკულტურის კოლექტივების შეჯიბრებათა პროგრამაც. მომავალ წელს ისინი იბრძოლებენ საგზატკეცილო ველორბოლაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში, ძალოსნობაში, ფეხბურთსა და ჭადრაკში. ამასთან საერთო გუნდურ ჩათვლაში შედის როგორც ნაკრები კოლექტივების, ისე საწარმოო კოლექტივების მაჩვენებლები.

ახალი პროგრამით

VII საზაფხულო სპარტაკიადის ფინალამდე გაიმართება საწარმოო და სასწავლო დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადები—1 ივლისამდე, საოლქო და სამხარეო სპარტაკიადები — 15 ივლისამდე, რესპუბლიკური სპარტაკიადები — 25 ივლისამდე, ფინალური შეხვედრების ჩატარება განზრახულია მოსკოვში 11-18 აგვისტოს, ამასთან სპარტაკიადის ფინალამდე ჩატარდება ძირეული კოლექტივების ფეხბურთელთა ტურნირი ერევნის, სარატოვის, ტალინისა და ჩიმკენტის ზონებში. ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება არა აქვთ „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებს.

საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ფინალურ სპარტაკიადაზე მონაწილე გუნდები უნდა დაკომპლექტდეს არანაკლებ პირველი თანრიგის სპორტსმენებით. (გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ თანამედროვე ხუთჭიდი, სადაც დაიშვებიან მეორე თანრიგოსნები).

ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს მეორეთანრიგოსანთა გამოყვანა შეუძლიათ მძლეოსნობაში, ცურვაში და ჭადრაკში (ქალები), ამასთან თვითეული გუნდი საჭიროა დაკომპლექტდეს ფიზკულტურელთა 75 პროცენტით, რომლებიც არანაკლები 6 თვეა მუშაობენ ამ კოლექტივში, დანარჩენ 25 პროცენტს უფლება აქვს არ მუშაობდეს იმ კოლექტივში, რომლის სახელითაც გამოვა შეჯიბრებებზე, მაგრამ უნდა იყოს ამ ფიზკულტურული კოლექტივის წევრი არა ნაკლები 2 წლის სტაჟით.

როგორ ჩატარდება ფინალური შეჯიბრებები ნაკრები გუნდებისათვის. კალათბურთელთა ტურნირზე სამივე ქვეჯგუფში (5-6 გუნდის მონაწილეობით) გუნდები განაწილდებიან კენჭისყრით. მაგრამ ისე, რომ ყველა ჯგუფში მოხვდნენ პროფკავშირის ის 6 უძლიერესი გუნდი, რომლებიც წელს მონაწილეობენ საკავშირო პირველობის [illegible] ლიგაში, ქვეჯგუფებში [illegible] 2-2 გუნდი გათამაშებენ 1-6 ადგილს და ა. შ.

მოკრივეთა გუნდები უნდა დაკომპლექტდეს არა ნაკლებ 1942 წელს დაბადებული სპორტსმენებით, რაც შეეხება კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობას, აქ ასაკობრივ დაყოფას. ადგილი არა აქვს. სამაგიეროდ, გუნდებს არა აქვთ ძირითადი სპორტსმენის შეცვლის უფლება, რა მიზეზითაც არ უნდა გამოაკლდეს იგი შეჯიბრებას. ველოსიპედისტი ვაჟები გამარჯვებისათვის იბრძოლებენ 50 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში, 100 კმ-ზე გუნდურ რბოლასა და 150 კმ-ზე საგზატკეცილო წრიულ რბოლაში. ქალების პროგრამა შესაბამისად შეადგენს 20, 25 და 50 კილომეტრს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აგვისტოსათვის

I ქვეჯგუფი

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ ლანჩხუთი	19	14	2	3	45:14	30
„მეშახტე“ ტყიბული	19	13	4	2	43:16	30
„განთიადი“ ცხაკაია	18	11	4	3	30:21	26
„შუქურა“ ქობულეთი	20	10	5	5	33:30	25
სკა თბილისი	19	8	4	7	38:25	20
„ფეიქარი“ წულუკიძე	19	6	6	7	40:27	18
„ლოკომოტივი“ სამტრედია	17	7	4	6	28:25	18
ფიზკ. ინსტ. თბილისი	18	6	5	7	30:29	17
„ბახმარო“ ჩოხატაური	19	6	4	9	18:29	16
„კოლხეთი“ ხობი	19	6	2	11	24:38	14
„კოლმეურნე“ თელავი	19	6	1	12	29:56	13
„ქიმიკოსი“ რუსთავი	18	3	2	13	22:49	8

II ქვეჯგუფი

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იმერეთი“ ქუთაისი	18	12	5	1	34:18	29
„სინათლე“ თბილისი	17	12	2	3	37:17	26
„მესხეთი“ ახალციხე	18	11	3	4	32:19	25
„სიხარული“ მახარაძე	17	9	2	6	34:27	20
„ისანი“ თბილისი	17	7	4	6	30:21	18
„კოლხეთი“ ფოთი	17	6	6	5	27:22	18
„დილა“ გორი	17	7	3	7	28:32	17
„დინამო“ სოხუმი	17	7	2	8	26:25	16
„სპარტაკი“ სტალინირი	18	6	2	10	15:26	14
„განთიადი“ ბათუმი	17	5	3	9	17:29	13
„ოდიში“ ზუგდიდი	18	2	5	11	17:31	9
„მაღაროელი“ ჭიათურა	19	2	1	16	33:67	5

საქართველოს პირველობის მატჩები

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

საინტერესო თამაში შედგა ჩოხატაურში ადგილობრივ „ბახმაროსა“ და თბილისელ არმიელთა გუნდს შორის. უკვე მე-19 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს ანგარიში და შეინარჩუნეს იგი ტაიმის ბოლომდე. შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა და ინიციატივამ არმიელთა მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ ჩოხატაურელებმა კარგად გამოიყენეს მოწინააღმდეგის კართან შექმნილი სახიფათო მომენტი და მეორე ბურთიც გაიტანეს — 2:0. შემდგომში არმიელებმა ვერ შეძლეს 11-მეტრიანი საჯარიმოს რეალიზაცია და მხოლოდ მატჩის დასასრულს გაქვითეს ერთი გოლი. საბოლოოდ, გაიმარჯვა „ბახმარომ“ — 2:1.

გამანადგურებელი ანგარიშით განიცადა დამარცხება ქობულეთის „შუქურამ“ ტყიბულში, ადგილობრივი „მეშახტისაგან“ — 2:8. რაშია საქმე, რატომ დამარცხდა ასე სასტიკად გუნდი, რომელიც ლიდერთა ჯგუფში იმყოფება? ამის მიზეზია, პირველ ყოვლისა, სუსტი დისციპლინა კოლექტივში და არაჯანსაღი დამოკიდებულება მოთამაშეთა შორის. მაგალითად, განვლილ მატჩში ქობულეთელი მოთამაშეები განუწყვეტლივ ეკამათებოდნენ ერთმანეთს, მსაჯს. გაძევებულ იქნა მინდვრიდან ხოფერია (ეს უკვე მესამე შემთხვევაა ქობულეთის გუნდში). „შუქურას“ ხელმძღვანელობამ დროზე უნდა მიმართოს ზომებს და დაამყაროს კოლექტივში წესრიგი.

კიდევ ერთი ქულა დაკარგა ქუთაისის „იმერეთმა“, რომელმაც თავის მინდორზე მიიღო ახალციხის „მესხეთი“. პირველი ბურთი გაიტანა „მესხეთმა“ (ცაგარეიშვილი) და მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლეს ქუთაისელებმა ანგარიშის გათანაბრება — 1:1. აღსანიშნავია, რომ „იმერეთმა“ ბოლო 4 თამაშში აიღო სულ 3 ქულა და საშუალება მისცა თბილისის „სინათლეს“ მჭიდროდ დაახლოებოდა მას.

რაც შეეხება თბილისის „სინათლეს“, იგი სულ უფრო ამცირებს გათამაშების დასაწყისში შექმნილ განსხვავებას. თბილისელებმა გორში მოუგეს „დილას“ ანგარიშით 4:1.

ბათუმის „განთიადმა“ თავის მინდორზე მიიღო სტალინირის „სპარტაკი“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ სტალინირელებმა მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

ჭიათურის „მაღაროელისა“ და მახარაძის „სიხარულის“ შეხვედრის პირველი ტაიმი დამთავრდა ჭიათურელთა სასარგებლოდ — 2:1. მაგრამ მახარაძელებმა მეორე ტაიმი სრული სიძლიერით ჩაატარეს და მოიგეს კიდეც მატჩი ანგარიშით 4:3.

სოხუმის „დინამოს“ შეხვედრა ჰქონდა თბილისში „ისანის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

II ჯგუფის თამაშები

I ზონა

„კოლმეურნე“ (ამბროლაური)-„ხვამლი“ (ცაგერი) — 5:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„ცისარტყელა“ (აბაშა) — 2:0, „ნარინჯი“ (ჩაქვი)-„სამეგრელო“ (ზუგდიდი) — 1:1, „საირმე“ (მაიაკოვსკი)-„კოლმეურნე“ (ტყიბული) — 0:0, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ)-„კოლმეურნე“ (საჩხერე) — 4:2, „ალი“ (დიდიჯიხაიში)-„სალხინო“ (გეგეჭკორი) — 0:3.

II ზონა

„ალგეთი“ (თეთრი წყარო)-„ტორპედო“ (თბილისი) — 5:3, „ლოკომოტივი“ (გურჯაანი)-„რატევანი“ (ბოლნისი) — 1:0, „არაგვი“ (დუშეთი)-„ელმავალი“ (თბილისი) — 4.0, „ჩანჩქერი“ (ბორჯომი)-„გრდემლი“ (თბილისი) — 1:2, „განთიადი“ (კასპი)-„აბული“(ახალქალაქი) — 1:3.

III ზონა

„ნარინჯი“ (გალი)-„სპარტაკი“ (მახარაძე) — 0:1, „ტორპედო“ (გაგრა)-„განთიადი“ (გუდაუთა) — 3:3, „სპარტაკი“ (ვანი)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 0:1, „შრ. რეზერვები“ (ოჩამჩირე)-„ვოდნიკი“ (ფოთი) — 4:2, „რიონი“ (ქუთაისი)-„თაიგული“ (ლანჩხუთი) — 0:0.

IV ზონა

„არაგვი“ (მცხეთა)-„შირაქი“ (წითელწყარო) — 3:5, „ნარიყალა“ (თბილისი)-„ჩანჩქერი“ (ლაგოდეხი) — 7.2, „მშენებელი“ (რუსთავი)-„ნადიკვარი“ (თელავი) — 8:1, „ქართლი“ (ქარელი)-„თრიალეთი“ (წალკა) — 1:3, „დურუჯი“ (ყვარელი)-„კოლმეურნე“ (გურჯაანი) — 2:0.

ბათუმის „დინამოს“ რევანში

30 აგვისტოს ბათუმში შედგა კალენდარული მატჩი ფეხბურთში „ბ“ კლასის საკავშირო პირველობაზე. ბათუმელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს კიშინიოვის „ვეტრული“.

„დინამომ“ თავიდანვე აქტიურად, მაღალ ტემპში დაიწყო თამაში, მაგრამ პირველი ბურთი სწორედ მათს კარში იქნა გატანილი. სტუმრებმა კარგად გამოიყენეს ნახევარმცველ მინასიანის შეცდომა და გახსნეს ანგარიში — 1:0.

ეს კარგი გაკვეთილი გამოდგა ბათუმელთათვის. ისინი ძველებურად განაგრძობდნენ შეტევას მოწინააღმდეგის კარზე და ამავე დროს ფხიზლად იცავდნენ საკუთარსაც. მე-15 წუთზე მენაბდემ შაფათავასაგან მიიღო გადაცემა და გაქვითა გოლი, ხოლო მალე ჩხარტიშვილმა წინ გაიყვანა გუნდი — 2:1.

კიდევ უფრო უკეთესად თამაშობდა გუნდი მეორე ტაიმში. ბათუმელთა უპირატესობა სულ უფრო და უფრო აშკარა ფორმას ღებულობდა და 30-ე წუთზე მენაბდემ მესამედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მცირე ხანს შემდეგ ჩხარტიშვილმა ზუსტად დაამთავრა პარტნიორების მიერ გათამაშებული კომბინაცია — 4:1.

ამ ანგარიშით აიღეს ბათუმის დინამოელებმა რევანში პირველ წრეში დამარცხებისათვის.

ვ. მოსეშვილი

„ლოკომოტივი“ განაგრძობს ლიდერობას

მინსკი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 30 აგვისტოს მინსკის სტადიონზე შედგა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „უროჟაიმ“ მიიღო თბილისის „ლოკომოტივი“. როგორც ცნობილია, „ლოკომოტივი“ გათამაშების ცხრილში იმყოფება პირველ ადგილზე, ხოლო „უროჟაი“ — მეორეზე. პირველი წრის მატჩი ამ გუნდებს შორის თბილისში დამთავრდა თბილისელთა ძნელი გამარჯვებით — 1:0.

საპასუხისმგებლო შეხვედრა ზონის მეორე ლიდერთან თბილისის „ლოკომოტივმა“ ჩაატარა ძლიერად, მთელი მონდომებით და მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

ორი გამარჯვება

გრძელდება „ა“ კლასის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდის „დინამო“. ქართველ კალათბურთელებს ჯერ არა აქვთ არცერთი დამარცხება.

ამ დღეებში თბილისის დინამოელებმა ლენინგრადში ორი მატჩი გამართეს. პირველად ისინი შეხვდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით — 76:69. შემდეგ „დინამოელებმა ითამაშეს ლენინგრადის „სპარტაკთან“. ამ შეხვედრაშიც აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა — 77:68.

ქუთაისის „ტორპედო“ ქაბულში

ქაბული. 29 აგვისტო. (საქდესი). დღეს პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ალი მოჰამედმა მიიღო საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაცია — ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ავღანეთში ჩამოვიდა დამოუკიდებლობის დღის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენს ფეხბურთელებთან საუბარში ალი მოჰამედმა კმაყოფილება გამოთქვა ქართველ ფეხბურთელთა თამაშის გამო და განაცხადა, რომ მიუხედავად დამარცხებებისა, ავღანელ ფეხბურთელებს სარგებლობა მოუტანა საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრამ, რომლებმაც მათ უჩვენეს მშვენიერი ტექნიკური თამაში.

შემდეგ პრემიერ-მინისტრის მოადგილემ დელეგაციის წევრებს გადასცა სამახსოვრო ნიშნები ავღანეთის დამოუკიდებლობის 42 წლისთავის აღსანიშნავად.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა ს. ტაბატაძემ, რომელმაც ფეხბურთის გუნდის წევრთა სახელით მადლობა გადაუხადა ალი მოჰამედს გულთბილი, მეგობრული მიღებისა და იმ ზრუნვისათვის, რაც გამოიჩინეს სპორტული დელეგაციის მიმართ ავღანეთში.

დასასრულ „ტორპედოს“ გუნდის მწვრთნელმა უ. სალდაძემ ყველა ფეხბურთელის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ალი მოჰამედს, ავღანეთის მთავრობისა და სპორტული საზოგადოება „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელებს.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში ს. ფ. ანტონოვი.

რომი XVII XVII XVII რომი

უკანასკნელი საათი

მძლეოსნობა. გუშინ, ოლიმპიურ თამაშებზე დაიწყო მძლეოსანთა ტურნირი. წარმატებას მიაღწია სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კრეპკინამ. მან მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კრეპკინამ ყველა ცდაში საკმაოდ მაღალი და ამავე დროს სტაბილური შედეგი აჩვენა: 6,13 მ, 6,17 მ, 6,22. საბჭოთა სპორტსმენის მთავარმა მეტოქემ, პოლონელმა კშესინსკამ მეოთხე ცდაზე დასძლია 6,25 მ. ფინალურ ხტომებში კრეპკინამ გააუმჯობესა პოლონელის მაჩვენებელი და შედეგით 6,37 პირველი ადგილი დაიკავა. ამით საბჭოთა მძლეოსანმა გააუმჯობესა ოლიმპიური რეკორდი. კშესინსკა მეორე ადგილზე დარჩა.

ქალთა შორის 80 მეტრზე თარჯრბენის ნახევარფინალში გაიმარჯვა ი. პრესმა, მისი შედეგია — 10,6. 800 მეტრზე რბენაში შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვა კრივოშეევმა.

400 მეტრზე თარჯრბენში ბრძოლას ოქროს მედლისათვის აგრძელებს ჩევიჩალოვი.

შედგა წინასწარი გარბენები 100-მეტრიან დისტანციაზე ვაჟთა შორის. ვერც ერთი საბჭოთა სპორტსმენი ვერ მოხვდა შეჯიბრების შემდგომ ეტაპში. საუკეთესო დრო წინასწარ შეჯიბრებებში აჩვენა გერმანელმა ჰარიმ — 10,2. ზიმის (აშ) შედეგია — 10,3.

კალათბურთი. კენჭისყრის შედეგად გამოირკვა ნახევარფინალების მონაწილენი. პირველ ჯგუფში არიან საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ურუგვაისა და იუგოსლავიის კოლექტივები. მეორე ჯგუფში ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ ბრაზილიის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გუნდები.

* * *

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 7 დღის შემდეგ წინ მიდის საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა დელეგაცია, რომელსაც აქვს ოქროს 7, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 5 მედალი.

მეორე ადგილზეა გერმანიის გაერთიანებული გუნდი, მესამეზე იტალიის სპორტსმენთა დელეგაცია.



სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკული კალათბურთის „ვარსკვლავს“ ოსკარ რობერტსონს, რომელიც თავისი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს. რობერტსონმა რომში უკვე გამოიჩინა თავი, როგორც მაღალტექნიკურმა კალათბურთელმა. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს რობერტსონმა ჯერჯერობით ყველაზე მეტი ქულა მოუტანა.

კიდევ მოგება

გუშინ, თბილისში საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა კოლექტივი შეხვდა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს — ლენინგრადის არმიელთა კოლექტივს. მატჩმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ ჩვენს გუნდს აქვს ყველა შესაძლებლობა და მორალური უფლება, იყოს მოწინავე კოლექტივთა რიგებში. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ისეთ საპასუხისმგებლო და ამავე დროს მარათონულ ტურნირში, როგორიცაა საკავშირო პირველობა, ხუთი კაცით წარმატებას ვერ მიაღწევ. რეზერვი, აი რა არის დღეს ჩვენი გუნდის წინაშე დასახული მთავარი ამოცანა.

თბილისელმა კალათბურთელებმა ენერგიულად ჩაატარეს პირველი ნახევარი და მოიგეს იგი 30:22. მაგრამ ლენინგრადის არმიელთა გუნდი არ არის ისეთი კოლექტივი, რომელიც ადვილად თმობს თამაშს. მეორე ნახევრის მეოთხე წუთზე სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში — 32:32. შემდგომში წინ კვლავ ჩვენი კალათბურთელები გავიდნენ, რომლებმაც მოიგეს კიდეც მატჩი—67:59. ეს შეხვედრა ჩვენმა ხუთეულმა გროსმაისტერულად ჩაატარა.

5 სახეობა—5 პირველი ადგილი

— ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის — აი საქართველოს დელეგაციის თვითეული წევრის დევიზი ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ზონალურ სპარტაკიადაზე. ასეთმა კოლექტიურმა სულისკვეთებამ მისცათ საქართველოს წარგზავნილებს შესაძლებლობა გაემარჯვათ სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ხუთივე სახეობაში.

საქართველოს მოჭიდავეებმა (მწვრთნელი ვ. კუხიანიძე და ი. ჩხარტიშვილი) არაჩვეულებრივი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს და მიუხედავად იმისა, რომ მათ მჩატე წონაში მონაწილე არ ყავდათ (ა. მაისურაძის ტრავმის გამო) შეძლეს გუნდური პირველობის მოპოვება, ხოლო ოთხ წონაში (ნ. ხოხაშვილი, ა. ცხოვრებოვი, ი. სალარაძე და ა. ვარდოშვილი) პირველი ადგილები დაიკავეს.

ველოსიპედისტთა საუკეთესო მომზადების უდავო დადასტურებაა ის, რომ მათ შეჯიბრების პირველ დღეს აღებული ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნეს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ვაჟები. საგზაო ველოსიპედებით 75 კილომეტრზე რბოლაში პირველი სამი ადგილი მოიპოვეს ე. სუსლოვმა, ე. სტასიკოვმა და ე. კეხბამ (1:54.35, 1:54.50 და 1:55.10). მხოლოდ 25-კილომეტრიან კროსში „ულალატა“ განუყრელ ამხანაგებს ე. კეხბამ და მეოთხე ადგილზე გამოვიდა ე. სტასიკოვი და ე. სუსლოვი ისევ პირველ-მეორეზე გავიდნენ. 100-კილომეტრიან რბოლაში უძლიერესი კვლავ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ვ. სიკორსკი აღმოჩნდა. მისი დროა 2:29.56. გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გამოვიდა სომხეთი.

მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდნენ ჩვენი ცხენოსნები აზერბაიჯანელებს და აი შეჯიბრების უკანასკნელ დღეს სპორტული პაექრობის სასწორმა კვლავ ჩვენი მხედრების მხარეს გადმოინაცვლა. საკოლმეურნეო თასზე ზუგდიდელმა ტ. ჭითავამ (ცხენი „საპოვნელა“) მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო გ. გუმბამ — მესამე და საქართველოს გუნდი მეორედან პირველ ადგილზე გაიყვანა, ხოლო დოღში 2 კილომეტრზე ვ. დარასელიასა (ცხენი „რუსი“) და ს. ჩამბას (ცხენი „ხაბაროვსკი“) მოპოვებულმა პირველ-მეორე ადგილმა საბოლოოდ განამტკიცა გუნდური პირველობა. ს. ჩამბამ დასასრულ კიდევ ერთი გამარჯვება მოუპოვა თავის გუნდს სამკილომეტრიან დოღში (ცხენი „ასპექტი“). გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ აზერბაიჯანელები.

მძლეოსანთა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს სომხეთის გუნდი მხოლოდ 500 ქულით ჩამორჩებოდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლექტივს. პირველი ადგილის ბედი ჩვენს სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ გადაწყდა, როცა მძლეოსანმა ქალებმა მოიგეს ამანათრბენი 4×100-ზე, თ. როუმანოვამ გაიმარჯვა ხუთჭიდის უკანასკნელ სახეობაში (მისი შედეგია 3.949 ქულა) და ნ. კორსანტიამ შუბი ტყორცნა 65,98 მეტრზე. ფრენბურთში როგორც ვაჟებს, ისე ქალებს შორის გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

5 სახეობა — 5 პირველი ადგილი. აი ჩვენი დელეგაციის ბრწყინვალე ბალანსი ერევნიდან სამშობლოში დაბრუნებისას.

გ. სამანიშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

კვლავ „ა“ კლასში

ბელგოროდი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „ბ“ კლასის ფრენბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება. საქართველოს როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდმა წარმატებას მიაღწია და მომავალ წელს „ა“ კლასში თამაშის უფლება მოიპოვა.

რედაქტორი ი. უგულავა.

ქალაქ თბილისის ახალგაზრდობის სპორტულ სკოლაში 10 სექტემბრამდე იწარმოებს მსურველთა მიღება ფიგურული სრიალის, ჰოკეისა და საციგურო სექციებში. წვრთნა ჯერ იწარმოებს საკისურებიანი ციგურებით, ხოლო შემდეგ ხელოვნურ ყინულზე მოწვეულ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით.

სექციებში ვარჯიშის მსურველთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს: ფიგურულ სრიალში (ჭაბუკები და გოგონები) 7-14 წელს, ჰოკეიში (ჭაბუკები და ვაჟები) — 15-23 წელს. ციგურაობაში მიიღებიან 12-18 წლის ჭაბუკები და გოგონები. ასაკობრივი განსაზღვრის გარეშე მიიღებიან ისინი, ვისაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია.

მსურველებმა წინასწარ უნდა გაიარონ კომისია, რომელიც მუშაობს ლენინის სახელობის სტადიონზე (ორჯონიკიძის ქუჩა 52-ა) ყოველდღიურად დილის 10-დან 12 საათამდე, საღამოს 4-დან — 6 საათამდე, კვირაობით — 10-დან 13 საათამდე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ინსტიტუტთან არსებული ორწლიანი მწვრთნელთა სკოლის საღამოს განყოფილებაზე.

მწვრთნელთა სკოლის აღნიშნულ განყოფილებაზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად (საშუალო განათლება აუცილებელია).

მწვრთნელთა სკოლის საღამოს განყოფილებაზე სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, 2. ავტობიოგრაფია, 3. ატესტატი (დედანი), 4. დახასიათება სამუშაო ადგილიდან, 5. ცნობა სამუშაო ადგილიდან, 6. პასპორტი და სამხ. ბილეთი (წარედგინება პირადად), 7. ოთხი ფოტოსურათი, 8. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. სპეციალობაში (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა), 2. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, 3. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადებების მიღება იწარმოებს 1960 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე. მეცადინეობის დასაწყისი 1960 წლის 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 49, ტელ. 2-31-60.

ინსტიტუტის დირექცია.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“,
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04258